P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

შპს „ექსპოგრაფი“ და ქუთაისის მერია ერთმანეთის წინააღმდეგ

ვინ იზარალა 100 ათასი ლარი მესხიშვილის თეატრის უხარისხო სკამების გამო

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქუთაისის მერიაში კოლხური შადრევნის სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ვერ პოულობენ

იხილეთ მე-3 გვერდზე

№ 29 (679) 28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ქუთაისის ოპერის თეატრი ინგრევა

„P.S. ფოტო“ (ქანა ჯანელიძე) ©

დაზიანებული კედლები ოპერის თეატრში

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, რომლის რეკონსტრუქციისთვის 4 მილიონამდე ლარი გამოიყო, დღეს კედლები იშლება, შპალერი იხევა და წვიმის დროს ფანჯრებიდან წყალი შედის. თეატრის დირექტორის, ხატია ვედმედევას განცხადებით, იგი აპირებს ს/ს „დაგ“-ს, რომელმაც თეატში სარემონტო სამუშაოები ჩაატარა, სასამართლოში უჩივლოს.

„ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „დაგ-მა“ ზერელედ შეასრულა სამუშაოები. ყოველი წვიმის დროს ფანჯრებიდან წყალი შემოდის და შედეგად გაფუჭებულია კედლები, არ არის წესრიგში კანალიზაცია, წყალგაყვანილობა, ელექტროგაყვანილობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. არ არსებობს გამწოვები და საშინელი სუნი დგას შენობაში. იმის სანაცვლოდ, რომ ქვევით მოექციათ გათბობის მილები, დაავიწყდათ და დღეს ზემოდან ვთბებით. არ არის ნორმალური აკუსტიკა, აყრილია ლამინატი, გადასაკეთებელია აბსოლუტურად ყველაფერი. მშენებლობის დროს თეატრში არ არის გათვალისწინებული საჭირო რაოდენობის საგარდერობო საკიდები, საბილეთო სალარო ელემენტარულ პირობებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. თეატრს არ გააჩნია საგრიმიორო და სასაწყობე ოთახი. ჯობდა საერთოდ არ მოეკიდებინათ ხელი,“ — განაცხადა **ხატია ვედმედევამ** psnews-სთან საუბრისას.

კომპანია „დაგ“-ს ვერც psnews-ის რედაქცია და ვერც თეატრის ხელმძღვანელობა დაუკავშირდა. კომპანიაში სატელეფონო ზარებს არ პასუხობენ.

„დაგ“-მა ორი წლის წინ, ტენდერის საფუძველზე, ოპერის თეატრის მშენებლობა დაიწყო. ქალაქის მერიასა და სს „დაგ“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ: №2, №236, №560), თეატრის რეკონსტრუქციისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 3627324.5 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. მშენებლობის პროცესი 7 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა, შენობა დღემდე არ არის ჩაბარებული იქ არსებული პრობლემების გამო.

„ვაპირებთ „დაგი“-ს წინააღმდეგ საჩივრის დაწერას და მოვითხოვთ როგორც ფინანსური ზარალის ანაზღაურებას და მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, ასევე მორალურ კომპენსაციას,“ — განაცხადა **ხატია ვედმედევამ.**

ქანა ჯანელიძე
psnews.ge

როგორი პრეზიდენტი ავირჩიეთ?

„P.S. ფოტო“ (ქანა ჯანელიძე) ©

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქართველები, აფხაზები და ოსები ერთ მაგიდასთან

იხილეთ მე-6 გვერდზე

იტყვის თუ არა უარს ძალაუფლებაზე ბიძინა ივანიშვილი?

იხილეთ მე-4 გვერდზე

განათლების სამინისტრომ ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელად ქუთაისელი კადრი ვერ შეარჩია

იხილეთ მე-5 გვერდზე

რა მიზნით ამოწმებს აუდიტი მერიის სამაშველო სამსახურს?

იხილეთ მე-3 გვერდზე

ქუთაისის ბიუჯეტს კვლავ სეკვესტრი ემუქრება

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ქაიხოსრო იმერეტინსკი — გვ. 8

განცხადებები — გვ. 7

ქუთაისში სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშებს კუთვნილ ხელფასს არ აძლევენ

ქუთაისში, გაპონოვისა და წერეთლის ქუჩებზე სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები 6 თვეა კუთვნილ ანაზღაურებას ითხოვენ. მათი თქმით, მიმდინარე წლის მარტში, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ამ დრომდე არ მიუღიათ.

„ყოველდღე გვატყუებენ მოგცემთო. მიგვიყვანენ ბანკთან, ახლა ჩამოირიცხება და აიღებთო, მაგრამ დღემდე არ დარიცხულა თანხა. წვიმაში, მზეში ვმუშაობდით ქუჩაში და ერთი თეთრიც არ აგვიღია სანაცვლოდ," — ამბობს ერთ-ერთი მუშა **მამუკა სიმსივე**.

ქუთაისის გაპონოვისა და წერეთლის ქუჩებზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „ქეთურინა" ასრულებს. ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი კომპანიამ მიმდინარე წლის მარტში მოიგო. 185 ათას ლარიანი ტენდერის პირობების მიხედვით, „ქეთურინას" აღნიშნულ ქუჩებზე სანიაღვრე სისტემა უნდა მოეწესრიგებინა. როგორც მუშები აცხადებენ, მათ სამუშაოები კეთილსინდისიერად, ვადების დაცვით შეასრულეს და ახლა კომპანიისგანაც იმავეს ელოდებიან.

სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშების მოტყუების ფაქტზე, პარტია „თავისუფალი საქართველოს" ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გოგი წულაია პასუხისმგებლობას ქუთაისის მერიას აკისრებს. მისი თქმით, მსგავს შემთხვევებში, სწორედ ტენდერის გამომცხადებელმა უნდა უზრუნველყოს, კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების იძულება და, მათ შორის, დაქირავებული მუშების ანაზღაურება.

სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სულ 7 მუშა იყო დასაქმებული. ხელშეკრულების მიხედვით თითოეულ მათგანს დღიური ანაზღაურების სახით 25 ლარი უნდა მიეღო, რაც ჯამში 1050 ლარს შეადგენს. შესაბამისად, გამოდის, რომ შპს „ქეთურინას" მუშების 7350 ლარი მართებს.

მარიამ პატარაია
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
მარიამ პატარაია

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

შპს „ექსპოგრაფი" და ქუთაისის მერია ერთმანეთის წინააღმდეგ

ვინ იზარალა 100 ათასი ლარი მესხიშვილის თეატრის უხარისხო სკამების გამო

თბილისური კომპანია შპს „ექსპოგრაფი" ქუთაისის მერიისგან 100 ათას ლარს ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიის ხელმღვანელობა სარჩელის შეტანას სასამართლოში აპირებს. შპს „ექსპოგრაფის" დირექტორი თეიმურაზ ნოზაძე ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისგან იმ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს, რომელიც მისი თქმით, კომპანიას ბოლო ორი წლის განმავლობაში ქუთაისში მოგებული ორი ტენდერით მიადგა.

„P.S. ფოტო" (მარიამ პატარაია) ©

ბოლო საქმე, რომელიც კომპანიასა და მერიას შორის უკმაყოფილების მიზეზი გახდა, 100 ათასი ლარის ღირებულებისაა. 2012 წლის 11 იანვრით დათარიღებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ექსპოგრაფმა" ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრისთვის სკამების შეძენის პასუხისმგებლობა აიღო. 100 ათასი ლარის ღირებულების 400 სკამი კომპანიამ უცხოური ფირმისგან მალევე შეიძინა და მესხიშვილის თეატრს გადასცა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ სკამების ხარისხით თეატრის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო დარჩა. თეატრის მმართველი გიორგი სიხარულიძე იხსენებს, რომ სკამების ვიზუალისა და ფერის გამო მან პრეტენზია იმთავითვე დააფიქსირა და მათი შეცვლა მოითხოვა.

„მახსოვს ქალაქის მაშინდელი მერი გიორგი თევდორაძე იყო მოსული და ვაჩვენე ეს სკამები. საშინელი იყო ვიზუალურად. არანაირად არ შეეფერებოდა თეატრს არც ფორმით და არც ფერით. ერთი შეხედვითაც შესამჩნევი იყო მისი დაბალი ხარისხი. მაშინვე მოგვცა პირობა თევდორაძემ, აუცილებლად შეცვლიდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა," – ამბობს **გიორგი სიხარულიძე.**

სკამების ხარისხით უკმაყოფილო დარჩა ქუთაისის მერიაც, თუმცა, კომპანიის წინააღმდეგ მაშინ არავითარი ქმედითი ღონისძიება არ გატარებულა. უფრო მეტიც, ქალაქის ხელმძღვანელობას ნაცვლად კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნისა ან მასთან ხელშეკრულების გაწყვეტისა, ამ დროს შპს „ექსპოგრაფისთვის" უკვე გადარიცხული ჰქონდა 10 ათასი ლარი ავანსის სახით.

თეატრს სკამები ჩაბარდა და მიღებაჩაბარების აქტიც გაფორმდა, თუმცა, შპს „ექსპოგრაფისთვის" გადახდილი 10 ათასი ლარი, ქუთაისის მერიიდან კომპანიისთვის გადარიცხული ბოლო თანხა აღმოჩნდა.

მომხდარმა კომპანიის ხელმძღვანელობის გაღიზიანება გამოიწვია და ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში მერიასთან კონტაქტზე არ გამოდიოდნენ. მას შემდეგ კი, რაც კომპანიის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევაზე ქალაქის ხელისუფლება ღიად ალაპარაკდა, შპს „ექსპოგრაფი" ტენდერით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებას ითხოვს და ქუთაისის მერიას ტყუილში ადანაშაულებს. კომპანიის დირექტორი ადგილობრივ თვითმმართველობასთან წარუმატებელი თანამშრომლობის სხვა ფაქტსაც იხსენებს და ამბობს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობისგან ჯამში 100 ათასი ლარი უნდა მიიღოს.

„გაკოტრებამდე მიგვიყვანეს. ზარალის მეტი არაფერი გვინახავს მათთან თანამშრომლობით. გასულ წელს 9 ათას ლარიანი პროექტი გავუკეთეთ და ერთი თეთრიც არ აგვიღია. იმის თანხაც არ გვაქვს, რომ ბაჟის ფული გადავიხადოთ და სასამართლოში შევიტანოთ საქმე," – ამბობს შპს „ექსპოგრაფის" დირექტორი **თეიმურაზ ნოზაძე.**

შპს „ექსპოგრაფისთვის" ტენდერით გათვალისწინებული თანხა ქუთაისის მერიას რომ არ გადაურიცხავს, ამას აღგილობრივ თვითმმართველობაშიც ადასტურებენ. როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახურში ამბობენ, კომპანიამ დაარღვია ხელშეკრულების მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეცვლა. იქედან გამომდინარე, რომ „ექსპოგრაფმა" არ შეცვალა უხარისხო სკამები, მას დარჩენილი 90 ათასი ლარი არ მიუღია.

შპს „ექსპოგრაფი" ერთ-ერთია იმ სამი კომპანიიდან, რომელსაც ქუთაისის მერიამ დარღვევები ორი წლის შემდეგ აღმოუჩინა. ქუთაისის ვიცე-მერი თენგიზ თოფურიძე, რომელსაც წლების განმავლობაში მერიის ადმინისტრაციის უფროსის პოსტი ეკავა, შპს-ების მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებზე მხოლოდ სამი კვირის წინ ალაპარაკდა.

დოკუმენტების მიხედვით კი ირკვევა, რომ შპს „ექსპოგრაფს" ქუთაისში არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული. მათ შორის, იგი ბოლო 5 წლის განმავლობაში ინტენსიურად იგებდა ერთი და იმავე ტენდერს, რომელიც ქალაქის დამისამართებას გულისხმობდა. „ექსპოგრაფს" 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, ქუჩების დამისამართების 5 მსხვილბიუჯეტიანი პროექტი აქვს მოგებული. მათ შორის, ყველაზე მასშტაბური პროექტი მან 2008 წელს დაიწყო. 195 ათას ლარიანი ტენდერის ფარგლებში „ექსპოგრაფს", ქუთაისის ათეულობით ქუჩაზე მისამართის აღმნიშვნელი ტრაფარეტები უნდა გაეკეთებინა. იმავე მიზნით, კომპანია ყოველწლიურად იგებდა 9, 11 და 30 ათას ლარიან ტენდერებს.

როგორც აღგილობრივ თვითმმართველობაში ამბობენ, კომპანიის მიერ წლების მანძილზე მოგებული თანხისა და შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბების გათვალისწინებით, დამისამართების მიზნით მთელი ქალაქის ათვისება უნდა მომხდარიყო, თუმცა, კომპანიამ სამუშაოებს თავი ვერ გაართვა. უფრო მეტიც, **როგორც ირკვევა, ქუჩების დანომვრა საჯარო რეესტრთან შეუთანხმებლად მოხდა, რის გამოც საცხოვრებელი სახლების ნომრები საჯარო რეესტრის მონაცემებს არ ემთხვევა**.

პირად საუბრებში მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები იმაზეც საუბრობენ, რომ შპს „ექსპოგრაფს" წლების განმავლობაში ქალაქის ყოფილი ხელისუფლება მფარველობდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული მისი სტაბილური გამარჯვება ქუჩების დამისამართების ყველა ტენდერში და სწორედ ამ მოტივით არ რეაგირებდა აღგილობრივი ხელისუფლება კომპანიის მუშაობაში გამოვლენილ დარღვევებზე.

ქუთაისის მერიის მგავსად, 100 ათას ლარიანი ზარალის მიუხედავად, დუმდა შპს „ექსპოგრაფიც". კომპანიას ქუთაისის მერიის მისამართით პრეტენზიები მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მათ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევასა და ჯარიმის შესაძლო დარიცხვაზე ქალაქის ვიცე-მერმა ისაუბრა, თუმცა, როგორც ირკვევა, თოფურიძის მიერ კომპანიის დარღვევების გამოაშკარავებამდე რამდენიმე თვით ადრე, შპს „ექსპოგრაფის" საქმით ფინანსური პოლიცია დაინტერესდა.

კომპანიასა და ქუთაისის მერიას შორის გაფორმებული დოკუმენტების ნაწილი ფინანსურ პოლიციას შესასწავლად უკვე გადაეცა.

მარიამ პატარაია

მართვის უფლების შეჩერება, ჩამორთმევის ნაცვლად

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, მძღოლებს საგზაო წესების დარღვევის გამო, მართვის უფლება შეუჩერდებათ. ტერმინი „ჩამორთმევა" კი, „ადმინისტრაცულ სამართალდარღვევათა კოდექსში" აღარ იარსებებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, **ლევან იზორიას** თქმით, ტერმინს — „მართვის უფლების ჩამორთმევა" ჩაანაცვლებს „მართვის უფლების შეჩერება". ამასთან, მძღოლს მართვის მოწმობის ხელახლა მოსაპოვებლად ტესტირების თავიდან ჩაბარება აღარ მოუწევს და სანქციის ვადის გასვლისთანავე მართვის უფლებას ავტომატურად მიიღებს.

კანონპროექტის მიხედვით, კიდევ ერთი შეღავათი, რომელიც მძღოლებისთვის დაწესდება, მართვის უფლების შეჩერებისთვის გათვალისწინებული ვადების განახევრებაა. ცვლილების მიღების შემდეგ მძღოლს მართვის უფლებას მხოლოდ 6 თვით შეუჩერებენ.

რაც შეეხება ფულად სანქციას, კანონპროექტის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო მართვის უფლების შეჩერებასა და ფულადი ჯარიმის რაოდენობას ეტაპობრივად გაზრდის. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის გამო მძღოლი 200 ლარით ჯარიმდება და ეს ნიშნული ახალი კანონის მიღების შემდეგაც შენარჩუნდება. ერთი წლის განმავლობაში კი მძღოლის ნასვამ მდგომარეობაში დაფიქსირების შემთხვევაში, ჯარიმა 700 ლარამდე გაიზრდება და მართვის უფლება ერთი წლით შეუჩერდება. ხოლო მესამე შემთხვევის გამოვლენისას, ჯარიმა 1000 ლარი, მართვის უფლების შეჩერების ვადა კი 2 წელი იქნება.

ნასვამ მძღოლს სანქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეეხება, თუ მას გადაჰყავს პირი, რომელსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება.

სანქციები მცირდება საგზაო წესების დარღვევის ფაქტებზე. კერძოდ, დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის დაწესებული ჯარიმა 100-დან 50 ლარამდე მცირდება. ასევე, განახევრდება განმეორებითი შემთხვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით 200 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს, რომელიც ჯარიმის გადაუხდელობის გამო დაწესებულ საურავებს შეეხება, როგორც მისი ინიციატორი თემურ მაისურაძე აცხადებს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ჯარიმების გადაუხდელობის გამო დაკისრებული საურავების განახევრებაზე. მაისურაძის თქმით, აღნიშნული ინიციატივის თანახმად, მცირდება როგორც საგზაო წესების დარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმების ოდენობა, ასევე — ამ ჯარიმის დროულად გადაუხდელობის გამო გათვალისწინებული სანქციები. მისი გადახდის ვადა კი ერთიდან სამ თვემდე იზრდება. მცირდება ჯარიმა ღვედის არგამოყენების შემთხვევაშიც. ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა მძღოლის 40 ლარის ნაცვლად 20 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

ამ დროისთვის პარლამენტმა შსს-ს მიერ ინიცირებული კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე განიხილა.

მარიამ პატარაია

ქუთაისის მერიაში კოლხური შადრევნის სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ვერ პოულობენ

დაფარავს თუ არა კომპანია დაკისრებულ სოლიდურ ჯარიმას და ვის გადაეცა საქმე გამოსაძიებლად?

კოლხურ შადრევანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არასრულადაა შესრულებული. ქუთაისის მერიამ პრობლემათა 12-პუნქტიანი სია შეადგინა, რომლის მიხედვით, შადრევანს პრობლემები აქვს ქვაფენილების დაგებაზე, სადენების დამიწებაზე, წყალგაყვანილობასა და სხვა საკითხებზე. სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია ბრალდებებს არ ეთანხმება.

ქუთაისის ვიცე-მერი **თენგიზ თოფურიძე** შემსრულებელ კომპანიას, შპს „მშენებელი 2011“-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობაში სდებს ბრალს და მოითხოვს, კომპანიამ ხარვეზები, რომელთა შეუსრულებლობის გამო მიღებული ფინანსური სხვაობა 100 000 ლარია, დაუყოვნებლივ გამოასწოროს.

თუმცა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რა სამუშაოები დარჩა შესასრულებელი კომპანიას, ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, რადგან მერიაში დამქირავებელსა და შემსრულებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ვერ მოიძებნა. რის გამოც, სრული ინფორმაცია ხელშეკრულების პირობებსა და გადარიცხულ თანხებზე საჯარო არ გახდა. ქუთაისის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსმა **ზურაბ გაბიძაშვილმა** თავდაპირველად გვითხრა, რომ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება შესასწავლად სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა წაიღო. მოგვიანებით მან უშიშროების სამსახურის მიერ ხელშეკრულების წაღება უარყო და აღნიშნა, რომ არაა გამორიცხული, საქმის შესწავლით პროკურატურა იყოს დაინტერესებული. ქალაქის ვიცე-მერის თენგიზ თოფურიძის ინფორმაციით კი, „მშენებელი 2011“-თან გაფორმებულ ხელშეკრულებას საფინანსო-სარევიზიო კომისია სწავლობს.

საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიაში კი არათუ ხელშეკრულებაზე, არამედ მერიასა და შპს „მშენებელი 2011“-ის შორის არსებული დავის შესახებაც კი არ ფლობენ ინფორმაციას. კომისიის თავმჯდომარის, **გოგიტა გოგელაშვილის** განცხადებით, ის ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სამუშაოების შესრულებით აუცილებლად დაინტერესდება. რაც შეეხება ხელშეკრულებას, მისივე თქმით, კომისია ამ საკითხით ამ დრომდე დაინტერესებული არ არის და, შესაბამისად, არც ხელშეკრულების შესწავლა დაუწყია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელმა კომპანიამ ვადების გადაწევა ხუთჯერ მოითხოვა, თუმცა, ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ამჯერად შპს „მშენებელი 2011“-თან 2011 წლის18 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება შეწყვიტა. კომპანია კი 620104.78 ლარით დააჯარიმა.

ქალაქის ვიცე-მერის, თენგიზ თოფურიძის განცხადებით, სამუშაოების დასასრულებლად და მიღება-ჩაბარების აქტის განსახორციელებლად შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენელთა ქუთაისში ჩამოყვანა ვერ მოხერხდა. ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე კი, მერიამ შადრევნის მოვლა-პატრონობაზე სამუშაოების ჩატარება საკუთარი სახსრებით მოახდინა.

მოედანზე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 5 შესრულება განხორციელდა, რომელთაგანაც 4-ზე სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და მერიის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა იდენტურია, მეხუთე შესრულებაზე კი სამხარაულისა და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები ერთმანეთს არ ემთხვევა.

სამხარაულის დასკვნით, ბუნებრივი გრანიტის ფილების მოპირკეთება 518 მ კვ-ია, ინსპექტირების ჯგუფი მხოლოდ 517,70 მ.კვ-ს ადასტურებმა, საჰაერო კედლის აგურები სამხარაულის დასკვნით 98 ცალია, ინსპექტირება მხოლოდ 58-ს აწერს ხელს, ასევე ცდომილებაა წყლის სისტემის გადაბმის ქუროებსა და სხვა სამუშაოებზე. სამუშაოების უხარისხოდ შესრულებას უკავშირებს შადრევნის გაუმართავ მუშაობას კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი **ბაკურ ხურციძე.**

სწორედ შეუსრულებული სამუშაოების მიზეზით, შესაძლოა, კოლხური შადრევანი ექსპლუატაციიდან ამოიღონ.

მერიის მიერ წაყენებულ ბრალდებებს არ ეთანხმება შპს „მშენებელი 2011“-ის ადვოკატი მარიამ ჯორბენაძე, როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ქუთაისის ვიცე-მერი დეზინფორმაციას ავრცელებს, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად ჩაბარდა. რაც შეეხება სანიაღვრე სისტემის გაუმართაობას, როგორც ჯორბენაძე აცხადებს, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას პროექტი არ ითვალისწინებდა, მათ კი პროექტის დამატებით სამუშაოების ჩატარების უფლება არ ჰქონდათ. კომპანიის ადვოკატი, თავის მხრივ, კითხვით მიმართავს მერიას, თუკი ცენტრალურ მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულად არ შესრულდა, მერიამ ორმაისობის დღესასწაულთან დაკავშირებით კოლხური შადრევანი ზარ-ზეიმით რატომ გახსნა და ექსპლუატაციაში რატომ მიიღო? მან ასევე აღნიშნა, რომ კომპანიის საქმიანობით 4 თვის წინ საფინანსო პოლიცია დაინტერესდა, თუმცა, დარღვევის აღმოჩენა ვერ მოხერხდა.

„P.S. ფოტო“ ©

კომპანიის ადვოკატი შესრულებული სამუშაოების დასტურად ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას იშველიებს.

ადვოკატის შეკითხვას ქუთაისის მერიაში მარტივად პასუხობენ, ამბობენ, რომ კოლხური შადრევანი ექსპლუატაციაში ამ დრომდე არ მიუღიათ. რაც შეეხება შადრევნის ზარ-ზეიმით გახსნას, მერიაში აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაუსრულებელი შადრევანი ორმაისობას პიარის მიზნით გახსნა.

თუმცა, კულუარებში საუბრობენ იმაზეც, რომ „მშენებელი 2011“-თან ხელშეკრულება საერთოდ არ გაფორმებულა, რაც, სავარაუდოდ, გახდა იმის მიზეზი, რომ მერია აღნიშნულ კომპანიასთან სასამართლო დავაში ამ დრომდე არ შედის. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, სწორედ ამიტომ არ იყო გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

ნესტან ჩაგელიშვილი

რა მიზნით ამოწმებს აუდიტი მერიის სამაშველო სამსახურს?

ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივრა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მერიის რეორგანიზაციის ფარგლებში გათავისუფლებულ სამ თანამშრომელს თანამდებობები კვლავ შეუნარჩუნა.

ქუთაისის მერიაში გამოცხადებული რეორგანიზაციის ფარგლებში გათავისუფლებული 5 თანამშრომლის სარჩელი საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა. მათგან ორი, ქალაქის ვიცე-მერები, ამირან ძოწენიძე და კოტე რატიანი იყვნენ. თუმცა, იმის გამო, რომ ქუთაისის საკრებულოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, ვიცე-მერების თანამდებობებზე დაბრუნება არ მოხერხდა.

ადგილობრივ თვითმმართველობას სამსახურის უფროსების თანამდებობებზე აღდგენა და განაცდურის სრულად ანაზღაურება დაევალა. ამ შემთხვევაში საუბარია მერიის სამაშველო სამსახურის უფროს კახა მაჩიტიძეზე, სამაშველო სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროს იმედა ხარატიშვილსა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კონტროლის განყოფილების უფროს კობა გაბიანზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება თვითმმართველობამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რის გამოც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი კახა მაჩიტიძე, ამავე სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იმედა ხარატიშვილი და ადმინისტრაციული სამსახურის კონტროლის განყოფილების უფროსი კობა გაბიანი თანამდებობაზე რჩებიან.

აღსანიშნავია, რომ მერიის სამაშველო სამსახურის უფროსმა, მის თანამდებობაზე აღდგენის შემდეგ, მერიის აუდიტის კონტროლზე ისაუბრა. კახა მაჩიტიძე აღნიშნავდა, რომ მის სამსახურში 10 დღით შესული აუდიტის თანამშრომლები დამატებით 5 დღე სწავლობდნენ სამაშველო სამსახურის საქმიანობას.

მაჩიტიძემ ისიც აღნიშნა, რომ აუდიტის მიზანი მისთვის რაიმე დარღვევის აღმოჩენაა. სამაშველო სამსახურის უფროსი არ გამორიცხავს, რომ მისი მოშორების მიზნით, მის წინააღმდეგ რაიმე უკანონო საბუთები შეადგინონ.

„მერიის აუდიტს სრული უფლება აქვს, შეგვამოწმოს, მაგრამ მათი მიზანია, რაც არ უნდა დაუჯდეთ, რაიმე იპოვონ. არ არის გამორიცხული, ამის გამო რაიმე უკანონო შეთხზან. მე კარგად ვიცი, როგორ მუშაობდა ჩემი სამსახური და თუკი აუდიტმა ვითომდა რაიმე იპოვა, ეს ყველაფერი ჩემი მოშორების მიზნით იქნება გაკეთებული, რადგან ვიდრე მე ორი თვე თანამდებობიდან გათავისუფლებული ვიყავი, სამსახურის საქმიანობით არავინ დაინტერესებულა, ეს ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც მერიასთან სასამართლო დავაში შევედი და საქმე მოვიგე.

ამჯერად საქმე ეხება სააღდგომოდ ქალაქის მასშტაბით სამშენებლო სამუშაოებში ჩვენს მონაწილეობას. გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ ჩვენს სამსახურს გადასცა ტექნიკა, სწორედ ამ ტექნიკით მერიის ნებართვის საფუძველზე, ჩვენ გზების სარეაბილიტაციო და გაწმენდით სამუშაოებში ვიღებდით მონაწილეობას. ეს უნდათ, რომ დარღვევად და საწვავის უკანონოდ ხარჯვად ჩათვალონ. ვუთხარი კიდეც აუდიტის თანამშრომლებს, რომ თუ ეს უკანონოდ მიაჩნიათ, დასკვნაში ჩაწერონ. მაგრამ, მე ვიტოვებ უფლებას, აუდიტის დასკვნა, რომელიც ამ დრომდე არ ჩამბარებია, გავასაჩივრო,“ — აღნიშნა **კახა მაჩიტიძემ.**

მაჩიტიძე არ გამორიცხავს, რომ ქუთაისის მერიამ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივროს.

გაასაჩივრებს თუ არა მერია საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში, ამ დრომდე უცნობია. მერიის ადვოკატის, ირაკლი გიორგაძის განცხადებით, დასაბუთებული ნაწილის მიღების მერე მერია შეისწავლის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც გადაწყდება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების საკითხი.

ნესტან ჩაგელიშვილი

იტყვის თუ არა უარს ძალაუფლებაზე ბიძინა ივანიშვილი?

საქართველოს მილიარდერი პრემიერ-მინისტრი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობიდან მიდის, ხოლო ვინ იქნება მომავალი პრემიერი ჯერ კიდევ გაურკვეველია. თუმცა, გაურკვევლობა ამით არ მთავრდება. მართლა იტყვის ბიძინა ივანიშვილი უარს ძალაუფლებაზე, თუ ქვეყნის მართვას კულუარებიდან გააგრძელებს?

ბიძინა ივანიშვილი

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ის მთავრობის საქმიანობაში აღარ ჩაერევა, თუმცა: სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად გააკონტროლებს თავისივე შექმნილ მთავრობას. ალბათ, ყველასთვის გასაგებია, რომ ბიძინა ივანიშვილის კონტროლის გავლენის ხარისხი განსხვავებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების სხვა რომელიმე წევრის კრიტიკისაგან. ამიტომ კითხვა — რეალურად იტყვის თუ არა უარს ძალაუფლებაზე ბიძინა ივანიშვილი სრულიად ლოგიკურია. ამ კითხვას ეხმაურება ბრიტანული ინტერნეტგამოცემის guardian.co.uk-ის მიერ გამოქვეყნებული შონ უოლკერის სტატია სათაურით — „საქართველოს მილიარდერ პრემიერ-მინისტრს თანამდებობის დატოვება უნდა, მაგრამ იტყვის კი უარს ძალაუფლებაზე?" როგორც სტატიის ავტორი ამბობს, მილიარდერი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ჩრდილში გადასვლა უნდა, მაგრამ არ ჩანს, რომ ყველაფერი ასე მკაფიოდ გაწერილია.

„საქართველოს მილიარდერი პრემიერ-მინისტრი გაკვირვებულია იმ მოსაზრებით, თითქოს ის კრიტიკისადმი მგრძნობიარეა. „პირიქით", ამტკიცებს ის. ივანიშვილი სიტყვებს ძალიან ფრთხილად გამოთქვამს. „სინამდვილეში მე კრიტიკა მიყვარს! ყველამ იცის ეს, ვინც მიცნობს."

არადა, ყველა, ვინც ბოლო დროს ქართულ პოლიტიკას თვალყურს ადევნებს, წესით, საპირისპიროს უნდა ფიქრობდეს. ივანიშვილი თავადაც აღიარებს, რომ მოსახლეობა და მედია ზოგჯერ უფრო მადლიერი უნდა იყოს, რადგან ის „ყველაფერს სწორად აკეთებს" მას შემდეგ, რაც პოლიტიკაშია," — აღნიშნულია სტატიაში.

„საზოგადოებამ მხოლოდ კი არ უნდა აკრიტიკოს; მან უნდა აქოს კიდეც მთავრობა, როდესაც ის კარგად მუშაობს" — ამბობს ივანიშვილი. „ეს განცდაც უნდა არსებობდეს, მაგრამ საზოგადოებაში ის დღეს არ არსებობს."

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, დიდი მოლოდინი იმისა, რომ მილიარდერის ფული რიგითი ქართველებისკენ იქნებოდა მიმართული, არ გამართლდა და ივანიშვილის „თაფლობის თვე" ელექტორატთან სრულდება. ივანიშვილი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდება, ის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ახალ კანდიდატს წარადგენს, რომელიც მას შეცვლის, თავად კი ძველებურად ჩრდილში დაბრუნდება.

შონ უოლკერი ბიძინა ივანიშვილის მიერ ჟურნალისტებისათვის და ექსპერტებისათვის გამართულ „საჯარო მასტერ-კლასებსაც" ეხება და ამბობს, რომ ამ თვის დასაწყისში, ივანიშვილმა რამდენიმე ქართველი ჟურნალისტი ოთხსაათიანი ჭკუის სწავლებისთვის მიიწვია და შეხვედრა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ივანიშვილი ჟურნალისტებს ციტატებს უკითხავდა და ამ ციტატებისთვის მათგან განმარტებებს ითხოვდა. მან გალანძღა ისინი გადამოწმების გარეშე ფაქტების გაშუქებისათვის და მათ „ფოსტალიონები და არაჟურნალისტები" უწოდა. ანალოგიური შეხვედრა პოლიტოლოგებთანაც გამართა.

ივანიშვილი უარყოფს იმას, რომ კრიტიკაზე ასეთი გაღიზიანების მიზეზი მისი ცხოვრების წესია, განებივრებული ოლიგარქის, რომელიც მლიქვნელებით იყო გარშემორტყმული. მისი აზრით მას, უბრალოდ, სურს, რომ ხალხმა ფაქტები დამახინჯების გარეშე მიიღოს.

„ამ ჟურნალისტებს და ექსპერტებს მე ვკითხე: „აი, თქვენ ამბობთ ამას, ამას და ამას, მაგრამ სად არის თქვენი არგუმენტები? არ გაქვთ არგუმენტები! მათ ვერაფერი დაამტკიცეს და შეურაცხყოფილები დარჩნენ. „აი, ნახეთ, მას კრიტიკა არ უყვარს", თქვეს მათ! კი ბატონო, მაკრიტიკეთ, მაგრამ გააკეთეთ ეს არგუმენტირებულად და ნუ ამბობთ ისეთ რაღაცებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება."

„ის თანამდებობაზე მუშაობის დროსაც არ არის ენთუზიაზმით განწყობილი უცხოურ პრესაში გაშუქების მიმართ. მისი პიარ თანაშემწეები ჩივიან, რომ უცხოელი ჟურნალისტები, ძირითადად, პრემიერ-მინისტრის ზებრებზე წერენ და არა მის პოლიტიკაზე, რაც შესაძლოა, იმის ბრალია, რომ ივანიშვილი ჟურნალისტებთან შეხვედრას თავის ზებრებიან საზაფხულო რეზიდენციაში ამჯობინებს და არა სამუშაო ოფისში. როდესაც ჟურნალისტს პატარა ზებრას აჩვენებთ, ის, სავარაუდოდ, ჯერ ზებრაზე დაწერს და მხოლოდ ამის შემდეგ – დაგეგმილ სასოფლო-სამეურნეო რეფორმაზე. ერთი წლის შემდეგ ჟურნალისტებისთვის კვლავ ზებრების ჩვენებით, ივანიშვილი, როგორც ჩანს, ამას დღემდე ვერ მიხვდა," — წერს **შონ უოლკერი**.

„ეს, ცოტა არ იყოს, ავგედითი პერსპექტივაა..."

როგორც ბრიტანული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია აღნიშნული, მხოლოდ ივანიშვილს ესმის და სხვას არავის, იმ ბუნდოვანი სქემის, რომლის თანახმადაც ის გეგმავს ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნას საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებიდან მალევე და პოლიტიკისგან გამიჯვნას, როდესაც ის საყოველთაო ბენეფიციარი გახდება, რომელიც მთავრობას ნაღდი ფულით უზრუნველყოფს და „გააკონტროლებს" მას.

„ეს ცოტა არ იყოს ავგედითი პერსპექტივაა. ესმის კი მას, რომ როგორც მკაფიოდ მიკერძოებულ პოლიტიკურ ფიგურას, გაუჭირდება სამოქალაქო საზოგადოების ნეიტრალური ბენეფიციარის როლში ყოფნა?" — წერს შონ უოლკერი.

„მაგრამ მე ხომ აღარ ვიქნები პოლიტიკოსი" აცხადებს ის ისე, თითქოს ემიჯნება რა უმწვავეს პოლიტიკურ ბრძოლას, რომლის ერთი მხარე თავად იყო, შეუძლია უმალ ნეიტრალური გახდეს.

სტატიაში, ასევე, აღნიშნულია ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ თუკი მათგან 60%-ზე ნაკლები დაუჭერს მხარს მის რჩეულ საპრეზიდენტო კანდიდატს, მას იმედი გაუცრუვდება და „ენთუზიაზმს დაკარგავს" მომავალში ინიციატივების განხორციელებისას. ავტორი ფიქრობს, რომ ივანიშვილმა ამით, ფაქტობრივად, დააშანტაჟა ქართველები, რომ დახურავს ფულის ონკანს, თუკი ისინი არჩევანს ისე არ გააკეთებენ, როგორც ის ამბობს.

სააკაშვილის გუნდის წამყვანი ფიგურა გიგა ბოკერია, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას მისი ოლიგარქიული ბიოგრაფიის პრიზმაში განიხილავს. ბოკერიას თანახმად, მილიარდერმა შეგნებულად აირჩია საპრეზიდენტო კანდიდატად სუსტი და პოლიტიკურად გამოუცდელი ფიგურა და, როგორც ჩანს, კიდევ ერთ ახალბედა პოლიტიკოსს დაასახელებს თავის შემცვლელად პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

„1990-იანი წლების რუსეთის ყველა ოლიგარქის ოცნება იყო პოლიტიკის კონტროლი კულუარებიდან", — ამბობს ის. „რა თქმა უნდა, რუსეთში, მათ პუტინის სახით არასწორი არჩევანი გააკეთეს, და ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა."

სტატიის დასასრულს ავტორის აზრით, ივანიშვილი დიდად არ ცდილობს დაგარწმუნოს იმაში, თუ როგორ შეუწყობს ხელს მისი კულუარული როლი „საუკეთესო ევროპული დემოკრატიის" განვითარებას, ის ამბობს, რომ ის აშენებს. „საზოგადოებასთან ერთად მე გავაკონტროლებ მთავრობას, რომელსაც დავტოვებ", — ამბობს ის. „არ მინდა ახლა გავამხილო ის, თუ რა მექანიზმით ვიმოქმედებ."

ცოტნე პაატაშვილი

როგორი პრეზიდენტი ავირჩიეთ?

საქართველოს ამომრჩეველი ახალ პრეზიდენტს ირჩევს, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი იქნება.
ეს არის პირველი შემთხვევა საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში, როცა მოქმედმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი მეორე და საბოლოო ვადა სრულად ამოწურა და არჩევნების გზით მას ახალი პრეზიდენტი შეცვლის.

27 ოქტომბრის არჩევნები იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს ელექტორატი სრულიად ახალი ტიპის პრეზიდენტს ირჩევს, რადგან ქვეყანა ძლიერი საპრეზიდენტო მოდელიდან საპარლამენტო ტიპის შერეულ მოდელზე გადადის.

ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ძალაში შედის სამი წლის წინ მიღებული ახალი საკონსტიტუციო დებულებები, რომელიც ქვეყნის მართვის პროცესში პრემიერ-მინისტრის სამართლებრივ როლს მნიშვნელოვნად ზრდის, პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.

მართალია, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძლიერი საპრეზიდენტო მოდელის კონსტიტუცია მოქმედებდა, თუმცა რეალური ძალაუფლება მას შემდეგ, რაც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საპარლამენტო ხელისუფლება და მთავრობა შეიცვალა, კოალიცია „ქართული ოცნებისა" და მისი ლიდერის, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელში აღმოჩნდა და პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერია, ე.წ. „კოჰაბიტაციურ" პერიოდში კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული არცერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი არ გამოუყენებია მოქმედი მთავრობის წინააღმდეგ.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს ის დატვირთვაც ჰქონდა, რომ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, პარლამენტმა მთავრობას ხელახლა უნდა გამოუცხადოს ნდობა.

ახალი კონსტიტუციური დებულებების თანახმად, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა შეარჩიოს, რომელსაც ფორმალურად პრეზიდენტი წარადგენს; პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი კი შეარჩევს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამასთან ერთად წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტი ახალ მთავრობას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ანუ სულ ცოტა 76 ხმით ამტკიცებს, მაშინ, როცა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას ხანგრძლივი პროცედურა სჭირდება.



მოქმედი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობის დატოვებას გეგმავს, ხოლო მის შემცვლელს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაასახელებს.

თუ ეს გეგმა ძალაში დარჩა, არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას ორი წამყვანი ფიგურა ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი, ფაქტობრივად, ერთდროულად დატოვებს.

პრეზიდენტის უფლებები

საქართველოს ახალი პრეზიდენტის ძირითადი როლი მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობებში არბიტრის ფუნქციის შესრულება იქნება.

პრეზიდენტი ქვეყნის მეთაურად, სამხედრო ძალების მთავარსარდლად და საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლად რჩება, ახალი კონსტიტუციის თანახმად, თუმცა ის აღარ წარმართავს და განახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

სახელისუფლებო კრიზისის შემთხვევაში პრეზიდენტს კვლავაც რჩება უფლება, რომ დაითხოვოს მთავრობა ან პარლამენტი. ახალი პრეზიდენტი საბიუჯეტო პროცესში აღარ მიიღებს მონაწილეობას.

ახალი კონსტიტუციური დებულებებით, პრეზიდენტი თავისი ქმედებების უმეტესობას, მათ შორის სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების წარმართვისას, მთავრობასთან შეთანხმებით ახორციელებს. ამასთან, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების უმეტესობა მხოლოდ კონსტასიგნაციის ანუ პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცების შემდეგ შევა ძალაში. კონტრასიგნაცია არ დასჭირდება საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტებს და ასევე იმ სფეროებში გამოცემულ აქტებსაც, სადაც პრეზიდენტს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება რჩება.

პრეზიდენტს კვლავაც ექნება ექსკლუზიური უფლებები დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები და დაითხოვოს პარლამენტი, შეიწყალოს მსჯავრდებულები, გადაწყვიტოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხები, მიანიჭოს ჯილდოები და წოდებები, ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს კანონები, განსაზღვროს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობა, სახელმწიფოს სახელით დადოს კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

ასევე პრეზიდენტს დარჩება უფლება, რომ პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშით წარსდგეს წელიწადში ერთხელ.

psnews.ge

6 რეგიონალურ ქალაქში დამისამართების პროექტის პირველი და მეორე ეტაპი დასრულდა

თბილისის საჯარო რეესტრის თანამშრომლებმა ექვს რეგიონალურ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, გორსა და ბოლნისში ყველა სახლი და ბინა აღწერეს. ამ დროისთვის სულ აღწერილია 216 853 ერთეული უძრავი ქონება. ამის საფუძველზე სერვისების განვითარების სააგენტომ ახლად შექმნილ მისამართებზე არსებულ საცხოვრებლებში რეგისტრირებულ პირთა იდენტიფიცირება მოახდინა. ამ დროისთვის სულ იდენტიფიცირებულია 650 095 ადამიანი.

დამისამართების ერთიანი სისტემის შექმნა დაზუსტებული, მუდმივად განახლებადი, საიმედო საარჩევნო სიის ფორმირებას უწყობს ხელს.

ინფორმაციისთვის: დამისამართების პროექტის ფარგლებში საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზებში ასახული ცვლილებების მიუხედავად, მოქალაქეებს არ მოუწევთ დოკუმენტაციის ხელახლა აღება; შენახული იქნება საკუთრებისა და მოქალაქეების შესახებ ბაზებში არსებული ძველი ინფორმაცია და დაკორექტირებული მონაცემებიც.

სამისამართო სისტემის შექმნის პროექტით, საქართველოს დასახლებულ პუნქტებში უსახელო გზები და ქუჩები აღარ იარსებებს. ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე მონაცემები დატანილი იქნება ელექტრონულ რუკაზე, რომელიც საქართველოში სანავიგაციო სისტემის ეფექტურ მუშაობას შეუწყობს ხელს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ქუთაისი ყველაზე წარმატებული საერთაშორისო პროექტის „ავტორი“

ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტი, რომელიც CUIDAD-ის 126 პროექტს შორის ყველაზე წარმატებულად დასახელდა, დასრულდა.

იტალია-საქართველო-მოლდოვას ერთობლივი პროექტი მიზნად ისახავდა ტურიზმის განვითარებას ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ტურიზმის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ევროკომისიის მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში, ქუთაისში არაერთი აქტივობა განხორციელდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის ტურისტული განვითარების სტრატეგიისა და იმერეთისა და ქუთაისის ტურისტული რუკების შექმნა. პროექტის ფარგლებში მაღალკვალიფიციურ დონეზე გადამზადდნენ ქუთაისის ტურ-ოპერატორები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

სულ ახლახანს კი იტალიელმა ჟურნალისტმა ქუთაისზე სახასიათო ფილმი გადაიღო.

პროექტი „ერთიანი მიდგომა მდგრადი ტურისტული პროდუქციის მიმართ: იტალია, საქართველო და მოლდოვა“ სრულად ევროკომისიის მიერ არის დაფინანსებული.

პროექტის დასკვნითი ეტაპი ქუთაისში ევროკომისიის წარმომადგენლებმა ჩაიბარეს. აუდიტორულმა კომპანიამ selene audit-მა პროექტის ფინანასური ნაწილი ადგილზე უკვე შეისწავლა.

ევროკომისიის ერთობლივი პროექტი ქუთაისში 2009-2012 წლებში ხორციელდებოდა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

განათლების სამინისტრომ ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელად ქუთაისელი კაცრი ვერ შეარჩია

ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელის პოსტზე მეორედ გამოცხადებულ კონკურსში განათლების სამინისტრომ „მეოცნებე“ სამტრედიელზე, შევარდნაძისდროინდელ განათლების განყოფილების გამგეზე, ბადრი ვაშაკიძეზე შეაჩერა არჩევანი.

ბადრი ვაშაკიძე

კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე მონაწილეებმა აპლიკაციები შეიტანეს, რის შემდეგაც გაიმართა ელექტრონული ტესტირება, სადაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 60 ქულა იყო. კონკურსში სულ 60 კანდიდატი მონაწილეობდა. მეორე ეტაპის შედეგად მათგან მხოლოდ 12 კანდიდატი შეირჩა, რომლებმაც კომისიის წევრებთან ინდივიდუალური გასაუბრება გაიარეს.

როგორც ჩანს, კონკურსის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა ბადრი ვაშაკიძემ, რომელიც, სავარაუდოდ, ამ პოსტზე ერთადერთი მონაწილე იყო რაიონიდან.

გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ კონკურსის რამდენიმე ქუთაისელ მონაწილეს გაესაუბრა. ისინი შედეგების გაპროტესტებას არ აპირებენ, თუმცა, მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელად ადგილობრივი კადრის შერჩევა უმჯობესი იქნებოდა.

კონკურსის ერთ-ერთ მონაწილეს, მე-7 სკოლის დირექტორს, ენდი ნემსიწვერიძეს კონკურსის ობიექტურობაში ეჭვი არ ეპარება, თუმცა, ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ გაიმარჯვა კონკურსში სამტრედიელმა კანდიდატმა. „გაკვირვებული დავრჩი იმის გამო, რომ ქუთაისელი არ დაინიშნა ამ პოსტზე. რაღაც სიცარიელე დამრჩა და თითქოს შეურაცყოფილიც კი ვიყავი, ეს ამბავი რომ გავიგე. ნუთუ ქუთაისში ერთი კაცი არ მოიძებნა ისეთი, განათლების სფეროს რომ ჩადგომოდა სათავეში, ჩემთვის გაუგებარია, 60 წლის ადამიანმა რატომ მიიღო გადაწყვეტილება, ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელი გამხდარიყო. ალბათ, ჰქონდა რაღაც იმედი, რომ გაიმარჯვებდა,“ — ამბობს მე-7 სკოლის დირექტორი **ენდი ნემსიწვერიძე**.

კომისიის შედეგების გასაჩივრებას არ აპირებს არც 30-ე სკოლის დირექტორი, თუმცა, ის კომისიის წევრებზე ვინმეს მხრიდან ზეგავლენას არ გამორიცხავს. „არ ვაპირებ გავასაჩივრო, რადგან ვთვლი, რომ აზრი არ აქვს. კომისია დაკომპლექტებული იყო პროფესიონალებით, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ მათზე რაიმე ზეწოლა განხორციელდა. რაც შეეხება შერჩეულ კანდიდატს, ამ ადამიანზე არაფერი ვიცი, გარდა გავრცელებული ჭორებისა, საერთოდ არ ვიცნობ და ამიტომ ვერანაირ შეფასებას ვერ გავაკეთებ. ჩემი მხრიდან ეს არაეთიკური იქნება,“ — ამბობს 30-ე სკოლის დირექტორი **მიშა გიორგაძე.**

კონკურსის ორი ეტაპი წარმატებით გაიარა მე-14 სკოლის დირექტორმა ნინო ჩუბინიძემაც, თუმცა, მიუხედავად მიღებული მაღალი ქულისა, მან კონკურსი ბოლო ეტაპზე დატოვა, გასაუბრებაზე გასვლა გადაიფიქრა. ჩუბინიძე არ აკონკრეტებს, იყო თუ არა მისი გადაწყვეტილება გამოწვეული კომისიის მიმართ უნდობლობით.

როგორც მედიასა თუ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციებიდან ჩანს, ქუთაისის რესურსცენტრის უფროსის პოსტზე შერჩეული ბადრი ვაშაკიძე არამარტო „ქართული ოცნების“ აქტივისტია, ის ამასთანავე, კახი კალაძის ახლო ნათესავად მოიაზრება. ვაშაკიძეს განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. ის სამტრედიის განათლების განყოფილების უფროსია.

შეგახსენებთ, რომ განათლების სამინისტრომ ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელის პოსტზე კონკურსი მეორედ გამოაცხადა. პირველად კონკურსის შედეგად ხელმძღვანელ პოსტზე კანდიდატურის შერჩევა ვერ მოხერხდა. გაზაფხულზე ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა ქუთაისის განათლების აიპის დირექტორი ლადო პატარიძე, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდგომ ხელმძღვანელობდა ქუთაისის რესურსცენტრს, თუმცა განმეორებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა აღარ მიუღია.

კონკურსის შედეგების გასაჩივრება, კონკურსანტებს 29 ოქტომბრამდე შეუძლიათ. გასაჩივრების შემთხვევაში, კონკურსანტებმა საპრეტენზიო განაცხადი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე სამინისტროში უნდა წარმოადგინონ.

მარი პატარაია

ქუთაისის მუნიციპალიტეტების თანამშრომლები მერიას ხელფასის ერთი დღით დაგვიანებას არ პატიობენ

ქუთაისის სამი მუნიციპალიტეტის „უქიმერიონის“, „ქალაქ-მუზეუმისა“ და ნიკეას მუნიციალიტეტების თანამშრომლები კუთვნილი ხელფასის ერთი დღით დაგვიანებას აპროტესტებენ. 25 ოქტომბერს, „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე, ტერიტორიული მართვის ორგანოების თანამშრომლებმა მომხდარის შესახებ ისაუბრეს და განაცხადეს, რომ მათთვის უცნობია როდის აიღებენ ხელფასს.

„გუშინ უნდა აგვეღო ხელფასი და რომ არ დაგვერიცხა, გადავამოწმეთ ბუღალტერიაში და გვითხრეს, რომ ბიუჯეტში თანხები არ არის და არ ვიცით როდის მოგცემთო,“ — აცხადებს „უქიმერიონის“ ტერიტორიული მართვის ორგანოს თანამშრომელი **მალხაზ ესებუა.**

მომხდარს გამოეხმაურა „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიორგი თევდორაძე. მისი თქმით, ეს ფაქტი არის პირველი სიგნალი იმისა, რომ ქალაქის ბიუჯეტი არის კრიზისში, რაც მიგვიყვანს ეკონომიკურ კოლაფსამდე.

„როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ქუთაისის მერია დაკავებულია ძვირადღირებული ტექნიკის შეძენით და სარემონტო სამუშაოებით, მაშინ, როცა მის თანამშრომლებს ხელფასს ვერ უხდის. ასეთი რამ ბოლო 10 წლის განმავლობაში არ მომხდარა,“ – განაცხადა **გიორგი თევდორაძემ**.

ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურში მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისთვის ხელფასის დარიცხვას დაგვიანებულად არ მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ყველა მათგანი კუთვნილ ხელფასს მალე მიიღებს.

„ყოველთვის ხდება ასეთი რაღაც, რომ ერთი დღის განმავლობაში ყველა ვერ იღებს ხელფასს. რაღაც პროცედურებია დასაცავი და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. საბიუჯეტო კრიზისი კი აქ არაფერ შუაშია. პრობლემები მართლაც აქვს ბიუჯეტს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ 5 თვის განმავლობაში სწორედ „ნაციონალები“ უქმნიდნენ პრობლემებს ბიუჯეტს. „ნაციონალებს“ შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, ყველა აიღებს ხელფასს,“ — ამბობს საფინანსო სამსახურის უფროსი **ირაკლი ავალიანი.**

მარიამ პატარაია
psnews.ge

ქუთაისის ბიუჯეტს კვლავ სეკვესტრი ემუქრება

ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტი კვლავ სეკვესტრის საფრთხის წინაშე დგას. ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის ხარჯვით ნაწილსა და შემოსავლებს შორის არსებულ პრობლემებზე ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა. როგორც **გოგიტა გოგელაშვილი** აღნიშნავს, ეკონომიკის სამსახურს ბიუჯეტის შესრულების პრობლემა აქვს. მისივე თქმით, იმის გამო, რომ ბიუჯეტის სეკვესტრი არ გახმაურდეს, არაა გამორიცხული, ქუთაისის ხელისუფლებამ შესასრულებელი ბიუჯეტის ვალდებულება მომავალი წლისთვის გადაიტანოს. თუმცა, ვალდებულების მომავალი წლისთვის გადატანა იგივე სეკვესტრია, გაცილებით მეტი პრობლემებით.

ქუთაისის 56-მილიონიანი ბიუჯეტის შესრულება, 9 თვის ანგარიშით, მხოლოდ 57%-ია, რაც 2013 წლის ბიუჯეტს კვლავ სეკვესტრის საფრთხის წინაშე აყენებს.

56-მილიონიანი ბიუჯეტიდან სათამაშო ბიზნესისთვის 2 მილიონი ლარია გამოყოფილი, რომლის შესრულებაც წლის ბოლომდე უნდა მოხდეს. თუმცა, ცნობილი გახდა, რომ 9-თვიანი შესრულება 1120 000 ლარს შეადგენს.

პრობლემებია ქონების მართვის სამსახურის მიერ თანხის ამოღებაზეც. სექტემბრის მონაცემებით, ქონების მართვის სამსახურის მიერ ბიუჯეტის მხოლოდ 11%-ია შესრულებული.

ქალაქის ვიცე-მერის **გია შარაბიძის** განცხადებით, პრობლემებია მერიის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციაზე, რადგან მოთხოვნა მხოლოდ ქონების იჯარით გაცემაზეა.

მიუხედავად საფინანსო-სარევიზიო კომისიის ანგარიშისა, შარაბიძე აღნიშნავს, რომ ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტს სეკვესტრი არ ემუქრება, თუმცა, როგორ მოხდება ბიუჯეტის 43%-იანი სხვაობის სამ თვეში შევსება, ამ დრომდე არავინ იცის.

პრობლემებია ასევე, რეგიონული განვითარების სამინისტროსგან ქუთაისის განვითარებისთვის გამოყოფილი 16 მილიონი ლარის ათვისების კუთხითაც. 9-თვიანი მუშაობის შედეგით ათვისებულია მხოლოდ 4 მილიონი ლარი. იმის გამო, რომ ქუთაისის მერიამ რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხის სრული ათვისება ვერ შეძლო, სავარაუდოდ, 2013 წლის ბიუჯეტში დარჩენილი თანხა მომავალი წლის ტრანსფერად ჩაითვლება, აღნიშნულით დაზარალებული კი მხოლოდ ქუთაისი რჩება.

გამოყოფილი 16 მილიონის სრულად ვერ ათვისებას ქალაქის ვიცე-მერი თენგიზ თოფურიძე მმართველობის დაგვიანებულ გადაბარებას უკავშირებს. „ჩვენ ქუთაისის მმართველობა მიმდინარე წლის მეშვიდე თვეს გადმოგვეცა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს მიერ თანხა რამდენიმე თვის გადმორიცხული იყო, ჩვენი წინამორბედების მიერ არ იყო გამოცხადებული ტენდერები და რატომ არ მოხდა ეს, მათ უნდა ვკითხოთ. სწორედ ამიტომ მოხდა სამუშაოების დაგვიანება, რაც არის მიზეზი იმისა, სამინისტროს მიერ ქუთაისის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა სრულად ვერ ავითვისეთ,“ — აღნიშნა **თენგიზ თოფურიძემ**.

იმ ფაქტს, რომ ხარჯვით ნაწილში პრობლემებია ადასტურებს საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გოგიტა გოგელაშვილი, რომელიც ბიუჯეტის აუთვისებლობას აღმასრულებელი ხელისუფლების გვიან ჩართვას და ნაკლებ ინფორმირებულობას უკავშირებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქართველები, აფხაზები და ოსები ერთ მაგიდასთან

ქართველი ჟურნალისტები აფხაზეთსა და ოსეთში მიიწვიეს

გერმანული მაუწყებლობის "DEUTSCHE WELLE"-სთან არსებული აკადემიის პროფესორების ინიციატივით, ქართველი, ოსი და აფხაზი ჟურნალისტებისა და მწერლებისთვის მოეწყო ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანს სამი მხარის ურთიერთთანამშრომლობა და დაახლოება წარმოადგენდა. საქართველოს პროექტში მწერალი დავით ტურაშვილი, ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტი ხატია შამანაური და ქუთაისელი ჟურნალისტი დავით ლიკლიკაძე წარმოადგენდნენ. აფხაზეთიდან იბრაგიმ ჭყადუა, არიჰა ჯოკუა, ამრა ქუჩულორია, ხოლო ოსეთიდან ირინა ივანოვსკაია, მარინა სანაკოევა და თემურ ცხოვრებოვი მონაწილეობდნენ.

პროექტის მნიშვნელობასა და სამომავლო გეგმებზე გაზეთ „P.S."-ს დავით ლიკლიკაძე ესაუბრა.

— გერმანული მხარის მიერ დაფინანსდა პროექტი, რომლის მიზანსაც ქართველი, ოსი და აფხაზი ჟურნალისტების ერთ სივრცეში თავმოყრა და დაახლოება წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში გამოცხადებული იყო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე. მაგრამ, ჩემთვის საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ორგანიზატორებმა ჰკითხეს აფხაზ და ოს ჟურნალისტებს: ხომ არ იყო რომელიმე ქართველი ჟურნალისტი, რომლის პროექტში მონაწილეობასაც ისურვებდნენ. ორივე მხარემ მე დამასახელა. ჩვენ ერთმანეთი კუნძულ კვიპროსზე ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში გავიცანით. კონკურსში მონაწილეობისთვის ისედაც მქონდა შევსებული განაცხადი, მაგრამ მათი სურვილი ორმაგად სასიამოვნო იყო.

დათო ტურაშვილი და დათო ლიკლიკაძე

ქართველები, აფხაზები და ოსები ერთ მაგიდასთან

პროექტი თურქეთში, ქალაქ სტამბულში გაიმართა და 9 დღე გაგრძელდა. ფინანსური მხარდამჭერი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იყო, საქართველოში კი კურატორობას „ევროპის სახლი" უწევდა.

პირველ დღეს აფხაზებმა და ოსებმა ცივი შეხვედრა მოგვიწყვეს, ქართულის გაგონება არ უნდოდათ. პირველი დარტყმა მაშინ მიიღეს, როდესაც სასაუბროდ საერთაშორისო ენა ინგლისური ავირჩიეთ და არა რუსული. მეორე დღიდან ურთიერთობა გალღვა, მესამე დღეს კი, საერთოდ გაახსენდათ, რომ იცოდნენ ქართული და ქართველი წინაპრები ჰყავდათ. ქართულად ვესაუბრებოდით, ისინი კი რუსულად და ქართულად გვპასუხობდნენ. საინტერესო იყო მათთვის დათო ტურაშვილის მოსმენა.

ყველაზე მთავარი, რაც ამ პროექტით გავიგეთ, ის იყო, რომ თურმე ჩვენს მოძმე ერებს არ ვეზიზღებით. ჩვენც, თავის მხრივ, ვაჩვენეთ, რომ გვინდა მათთან ურთიერთობა. აფხაზებმა და ოსებმა აღნიშნეს, რომ არ უნდათ რუსეთი, უბრალოდ, სხვა გზა არ აქვთ.

— როგორ ფიქრობ, პროექტმა მიზანი შეასრულა?

— რა თქმა უნდა, პროექტმა მისია შეასრულა, დამშვიდობების დროს აფხაზებმა და ოსებმა გვითხრეს — „თქვენი ნახვა და ხმის გაგონება არ გვინდოდა, საერთოდ, გვინდოდა დაგვევიწყებინეთ, მაგრამ რა ვუყოთ ნოდარ დუმბაძეს, რომელიც ასე გვიყვარს და რომლის ნაწარმოებებით ვზრდით ჩვენს შვილებს. რა ვუყოთ ოჯახებს, რომელთაც ოჯახის წევრად ქართველი მეუღლეები ჰყავთ?" — ეს კარგი გზავნილი იყო ჩვენთვის. რაც შეეხება პროექტს, კარგად შეასრულა თავისი მისია, რადგან ორივე მხარემ გამოთქვა ჩვენთან ურთიერთობის სურვილი. ეს არ იყო შეხვედრა შეხვედრისთვის, ეს იყო წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი სამომავლო ურთიერთობისთვის.

— გაგრძელდება თუ არა პროექტი?

— გერმანულ მხარეს სურს, რომ მსგავსი შეხვედრა მოეწყოს პრაღაში, შემდეგ დუბაიში, ბოლოს კი — ლონდონში. ამავდროულად, აფხაზებმა და ოსებმა მათთან დაგვპატიჟეს, რასაც სიამოვნებით დავთანხმდით. ასევე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ გერმანულმა მხარემ შემოგვთავაზა, გავაკეთოთ ერთობლივი საიტი, რომელიც არ იქნება არცერთი მხარის სახელწოდების და ამ საიტზე დღის განმავლობაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე დავწერთ. ეს იქნება ინფორმაციის გაცვლის და თანამშრომლობის საუკეთესო საშუალება.

ნესტან ჩაგელიშვილი

კაცხის სვეტიდან დანახული სოფლის ცხოვრება

ინტერვიუ კაცხის რწმუნებულ ემზარ მოდებაძესთან

კაცხის ტერიტორიული ორგანო ჭიათურის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია ფართობით, მოსახლეობის რაოდენობითა და ეკონომიკური პოტენციალით. სიტყვა კაცხი სვანურია და წვეროს ნიშნავს, რაც, სავარაუდოდ, კაცხის სვეტის ფორმის გამო უნდა დარქმეოდა მიმდებარე ტერიტორიას. კაცხის ტერიტორიულ ორგანოში 7 სოფელი შედის: კაცხი, დიდი კაცხი, მორძგვეთი, სალიეთი, ნავარძეთი, ეწერი და ჯოყოეთი. ამჟამად ტერიტორიულ ერთეულს ემზარ მოდებაძე ხელმძღვანელობს და „პოსტსკრიპტუმმა" მას რამდენიმე კითხვით მიმართა.

კაცხის სვეტი

— ბატონო ემზარ, პირველ რიგში, დავიწყოთ მნიშვნელოვან პრობლემაზე საუბრით. არც ისე დიდი ხნის წინ, თქვენდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე კოკისპირული წვიმის გამო დაზიანდა ინფრასტრუქტურა და სავარგულები, ხერხდება ამ პრობლემის მოგვარება?

— ინტენსიური წვიმის შედეგად ბევრი ნათესი განადგურდა, მაგრამ ყველაზე დიდი ზარალი მაინც მდინარე კაცხურას ადიდებას მოჰყვა. მდინარეზე 6 ხიდი დაინგრა და მათი რეაბილიტაცია ჯამურად თითქმის მილიონს საჭიროებს. დაწყებულია ამ ხიდების აღდგენა. ამისთვის მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა და ყველა ხიდის აღდგენა მოესწრება მოკლე ხანში. ამჟამად ხიდების უქონლობის გამო, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნება მოსახლეობას. პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, ადგილზე იყო ამოსული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და ოპერატიულად გადაწყდა ინფრასტრუქტურის მოსაგვარებელი ღონისძიებების დაგეგმვა. სამწუხაროდ, სავარგულების დაზიანების საკომპენსაციოდ თანხები ვერ გამოიძებნა, ისე კი, ზარალი დათვლილი გვაქვს და საკმაოდ დიდიცაა.

— როგორც ამბობთ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყურადღებით ეპყრობა კაცხს, ბევრ მუნიციპალიტეტში საყვედური ისმის მაჟორიტარი დეპუატატის მისამართით, კაცხის დამოკიდებულება როგორია დეპუტატის მიმართ?

— მაჟორიტარი დეპუტატიც იყო ამოსული კაცხში და ამომრჩეველს შეხვდა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ის აქტიურობს და გვეხმარება.

— სოფლის დახმარების პროგრამების განხორციელება როგორ მიმდინარეობს თქვენთან?

— ჩემდამი დაქვემდებარებაში 7 სოფელია 1700 კომლით. ძირითადად, წყლისა და გზის პრობლემებია, რომლის მოგვარებასაც ვაპირებთ იმ თანხებით, რომელიც გამოიყო სოფლის პროგრამით. გზების სარეაბილიტაციო საკითხებისთვის თანხებია გამოყოფილი, ხოლო წყლით უზრუნველყოფისათვის მოსახლეობა თავად ასრულებს სამუშაოებს. ასევე, სარიტუალო დარბაზიც მოსახლეობის ძალებით დასრულდა. საჭირო მასალები შემოვზიდეთ და მოსახლეობამ თავისი ძალებით უზრუნველყო ბევრი საკითხის მოგვარება. ახლაც მიმდინარეობს ამ პროგრამის განხორციელება და უმოკლეს დროში დავასრულებთ.

— სოფელ ჯოყოეთის გვიანდელი საუკუნეების ტაძრის რესტავრაციაც გაქვთ დაწყებული...

— ეს ტაძარი მე-17-18 საუკუნებისაა. 1938 წელს კომუნისტების მოთხოვნით დაანგრიეს. სამი წლის წინ გადავწყვიტეთ, რომ ტაძარი აღდგენილიყო. მთავარანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის სახელზე აგებული ტაძარი საკმაოდ დიდი მოცულობის ყოფილა, დაახლოებით, 160 კვადრატული მეტრის ფართობისაა. გათლილი ქვები ფერმის ასაგებად განუკარგავთ, ნაწილი მოსახლეობისათვის ძალად გაუტანებიათ: სახლებისა და ბოსლების შენებას მოახმარეთო.

როცა აღდგენის შესახებ დავიწყეთ საუბარი, მოსახლეობამ თავისით მოიტანა ყველა ქვა და ფერმის მასალაც უკან მოვზიდეთ. პროექტში 3 ათასი ლარი გადავიხადეთ, მოვიძიეთ სპონსორიც, რადგან ისეთი პატარა სოფელი, როგორიც ჯოყოეთია, ვერ შეძლებდა ამხელა ტაძრის აღდგენას. მით უფრო, რომ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ტაძრის კედელი ორი მეტრის სისქისაა. სამწუხაროდ, ვაჩეიშვილი არ დაგვეთანხმა, რადგან აღდგენაზე გვეხმარებოდა „ქართუ", მას ჩვენი წარმომადგენლებისთვის უთქვამს, ამ პროექტს რომ ხელი მოვაწერო, მიშა გამათავისუფლებსო. წელს ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ და ტაძრის დასრულებას ბევრი აღარაფერი უნდა, თუმცა, კანონიკურად ერთ წელში თურმე იკრძალება ტაძრის დასრულება და გაისად დავასრულებთ.

— ასეთი დიდი ტაძარი პატარა სოფელში რატომ აიგო, თუნდაც, შუა საუკუნეებში? მით უფრო, რომ მეზობელ კაცხში სამი ტაძარი იყო და ბოსლევში — ერთი?

— ჯოყოეთი სამჯერ მეტი იყო მოსახლეობით 1944 წლამდე. მესხეთში, სოფელ ურაველში „თურქი მესხების" ნასახლარებზე ჩაასახლეს ჯოყოეთლები. ურაველს ადგილობრივები ახლაც ჯოყოეთს ეძახიან მშობლიური სოფლის საპატივცემულოდ. ჯოყოეთის ტაძარი, რომელიც სააბაშიძეთში იყო მოქცეული, გარდა ჯოყოეთისა, ჭიათურის რამდენიმე სოფელსა და ზესტაფონის სოფელ რკვიასაც ემსახურებოდა, ალბათ, ამან განაპირობა ამ ტაძრის სიდიდე.



ემზარ მოდებაძე

— კაცხის ტერიტორია მდიდარია ეთნოგრაფიული ძეგლებით... ტურისტები ხშირად გსტუმრობენ?

— ყოველ კვირაში კაცხში 500 ვიზიტორი მაინც ჩამოდის. მართალია, სტუმრების უმეტესობა ქართველია, მაგრამ ბოლო დროს მოიმატა უცხოელების რა ოდენობამაც. არ შეიძლება, ადამიანს არ დაეინტერესოს კაცხის სვეტის გრანდიოზულობამ, წარსულმა და დღევანდელობამ. მთლიანად წესრიგდება ინფრასტრუქტურა, რაც საჭიროა მონასტრისათვის, ასევე – ტურისტული თვალსაზრისითაც. კაცხის სვეტის გარდა, კაცხში გვაქვს ფერისცვალების ტაძარი, რომელიც წინ უსწრებს მესამედ სვეტიცხოვლის აგებას. კაცხში ყოფილა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარიც, რომლის ზარის ხმაც რამდენიმე სოფელს წვდებოდა. მოკლედ, კაცხს დიდი რეკრეაციულ-ტურისტული პოტენციალი აქვს.

— ბუნებრივი რესურსების კუთხით როგორი მდგომარეობაა?

— კაცხურას ხეობის ზემო წელში კალმახი ბინადრობს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდ ყურადღებას აქცევს. გარდა იშვიათი ბრაკონიერის გამოჩენისა, ხეობა დაცული აქვს თავად ადგილობრივ მოსახლეობას. კაცხში იყო გოგირდოვანი თერმული წყაროც, რომელიც 1991 წლის აპრილის მიწისძვრის მერე დაიკარგა. გეოლოგიური კვლევებით მისი აღმოჩენა ძნელი არ იქნება და ჩვენ ამაზე უკვე დავიწყეთ ზრუნვა. ულამაზესი ხეობები დაფარულია წაბლის, მუხის, აკაციის, ცაცხვის ტყეებით და მეღორეობა-მეფუტკრეობის განვითარების საუკეთესო პერსპექტივას იძლევა. იმედია, რომ ჩვენს წაბლნარებს არ გასცემენ ლიცენზიით და მეწყერსაშიშ ზონად არ აქცევენ ზემოიმერულ სოფლებს. აქ მოსახლეობისათვის შემოსავლის წყარო მესაქონლეობის გარდა, შემგროვებლობაცაა. ერთმა გლეხმა წელს 1200 ლარის მხოლოდ ნიყვი გაყიდა, სხვა საკვებად ვარგისი სოკოებიც უხვად გვხვდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.

— ე.ი. შეიძლება საკონსერვო მრეწველობის ბაზად ჩავთვალოთ კაცხი?

— კაცხში გარეული ხილი (მაჟალო, პანტა, კენკრა) ბევრია. ამას გარდა, ქაცვისაგან შეიძლება ქაცვის ზეთისა და ჯემის წარმოება. იმედია, რომ ამ საკითხით დაინტერესდებიან და მოსახლეობას მუდმივად ექნება ველური ბუნებიდანაც შემოსავალი.

— თქვენი პასუხებიდან ჩანს, რომ ყველაფერი კარგადაა. დავიჯეროთ, რომ პრობლემა არაფერია?!

— პრობლემები გვაქვს და მათ, ეტაპობრივად, დავძლევთ. სამწუხაროდ, ისევ უკმაყოფილება გამოიხატება იმის გამო, რომ 1700 კომლიდან 200-მა ოჯახმა სასოფლო-სამეურნეო ბარათი ვერ მიიღო. ჩემმა წინამორბედმა გადასცა სიები არასწორად, რომელი სოფლის სიებიც ჩემს მიერ იქნა შედგენილი, არცერთი შეცდომა არ დაგვიშვია და სამაგალითოდ გეტყვით, რომ სოფელ ჯოყოეთის სია პირადად გადავეცი. ყველა ჯოყოეთელმა მიიღო ეს ბარათები. ალბათ, კომიკურად მოჩანს, რომ თავად მეც არ მიმიღია აღნიშნული ბარათი...

როლანდ ხოჯანაშვილი

მოხვდა თუ არა „სამი ოთარის“ ძეგლი გაიჯარებულ ობიექტთა ნუსხაში?

„P.S.ფოტო“ ©

გასულ კვირას, ქუთაისში წერეთლის ქუჩაზე მდებარე „სამი ოთარის“ ძეგლის შესაძლო აღებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში. ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის, კოტე ლომიძის თქმით, ძეგლების აღება არ იგეგმება და ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის ცრუ ინფორმაცია. არც ძეგლების გადატანაზე და არც სასტუმროს აშენებაზე არ არის საუბარი. შეურაცხყოფილიც კი ვარ ამ ინფორმაციის გავრცელებით. შეეძლოთ, მოსულიყვნენ ჩემამდე და ეკითხათ, იყო თუ არა ეს სიმართლე. ვიდრე მე ამ ქალაქში ვარ, „სამი ოთარის“ ძეგლი არსად არ გადავა,“ — განაცხადა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **კოტე ლომიძემ.**

ლომიძემ ასევე ისაუბრა „სამი ოთარის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა გასართობ ცენტრზე და განაცხადა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არ დაუშვებს აღნიშნული შენობის გადაფარვას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს ამ ტერიტორიაზე სასტუმროს აშენებას.

„სამი ოთარის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისებას უარყოფენ

ქუთაისის მერიის ქონების მართვის სამსახურში. სამსახურის სპეციალისტი დავით გოგრიჭიანი ამბობს, რომ სკვერი, სადაც „სამი ოთარის“ ძეგლია განთავსებული, იჯარის წესით გაცემული არ არის.

„ნახაზი არსებობს ამის დამადასტურებელი. არ არის ეს სკვერი გასხვისებული. მხოლოდ სკვერის მიმდებარე ტერიტორიის იჯარით გაცემა მოხდა. მალე გამოჩნდება, რომ ეს მხოლოდ პიარია და მეტი არაფერი,“ — ამბობს **დავით გოგრიჭიანი.**

ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში 417 კვადრატული მეტრი ადგილობრივმა თვითმმართველობამ იჯარის წესით გაასხვისა. 6 სექტემბერს მერიასა და მოქალაქე ნანა გაგუას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. გაგუას აღნიშნული ტერიტორია სამართავად 35 წლის ვადით გადაეცა. ხელშეკრულების მიხედვით, გაგუას გაიჯარებულ ადგილზე შენობის აგება შეუძლია, თუმცა, იქნება თუ არა ეს სასტუმრო, ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც გაგუა დროებით სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე შესაბამის პროექტს წარმოადგენს.

ინფორმაციას კი მას შემდეგ მოგაწვდით, რაც ოფიციალურად მივიღებთ მერიისგან გამოთხოვილ ხელშეკრულებას, გაიჯარებული მიწის ნახაზს და იჯარის პირობებს.

მარიამ პატარაია

პოლონური გამოცდილება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის

პოლონეთის ქალაქ პოზნანისა და ქუთაისის თანამშრომლობის ფარგლებში, ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები პოზნანში იმყოფებოდნენ. დელეგაციის წევრები ადგილზე გაეცნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივ მდგომარეობას პოლონეთში და მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მეთოდებს.

„პოზნანიდან დელეგაცია იყო ჩამოსული და გაეცნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში. ცოტა ხნის წინ კი ჩვენი მხრიდან იყო წასული 10-კაციანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც ადგილობრივი თვითმმართველობის 2 წარმომადგენელი იყო. მათ ადგილზე ნახეს როგორ აქვთ მოწესრიგებული ეს პროცესები. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მსგავსი ტიპის თანამშრომლობას,“ — განაცხადა ქუთაისის ვიცე-მერმა **ნიკო კაჭკაჭიშვილმა.**

„ჩვენ მართლაც ბევრი რამ გვჭირდება საქართველოში ამ მიმართულებით. პოზნანში ვიზიტის დროს ჩვენმა დელეგაციამ მიიღო კარგი გამოცდილება: რისი გაკეთებაა საჭირო იმისთვის, რომ უკეთ იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები საზოგადოებაში ინტეგრირებული,“ — ამბობს საერთაშორისო პროექტების განყოფილების მთავარი სპეციალისტი **შორენა ხუხუა.**

პოლონურ და ქართულ მხარეს შორის სოციალური პროექტების ფარგლებში თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

მარიამ პატარაია
psnews.ge

უფასო განცხადებები

იყიდება

- იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.
მისამართი: თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
ტელეფონი: 599 43 40 40

იყიდება სამოსახლო **მიწის ნაკვეთი** ქუთაისში, ტყიბულის ქ. №169. 550 კვ.მ. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 598 577 129

- იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.
ტელეფონი: 558 76 93 46

- **სასწრაფოდ ვყიდი** 500-დან 1000 კმ-მდე მიწის ნაკვეთს სამოსახლოდ.
მისამართი: მახინჯაური, სათნოების ჩიხი 2, ბინა 9.
აღწერილობა:
მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 300 მეტრში, აქვს მისასვლელი გზა, სასმელი წყაროს წყალი, ზღვის ხედი.
ფასი: 500 კვმ — 25 000 აშშ დოლარი.
დამატებითი ინფორმაციისთვის დამიკავშირდით:
მობ.: 557 37 88 70

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
ტელ.: 431 25 53 12

უძრავი ქონება

- **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.
ფასი: 10000 $
ტელ.: 577 92 19 02. **ნანა**

გაზეთი „P.S.“(„პოსტსკრიპტუმი“) გაცნობებთ

თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!
ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში“ მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).
ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში“!
გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.

- **ქირავდება** ერთოთახიანი ბინა ქუთაისში ზვიად გამსახურდიას გამზირ №27/20 (სამტრედიის ხიდთან, ყოფილი გორის ქუჩა), VII სართული, ავეჯით, რემონტით, ტელეფონით, ლიფტით.
ტელ.: 26 44 08;
593 12 80 54 (ნანა)

გირავდება ორსართულიანი სახლის პირველი სართული (იზოლირებული), კეთილმოწყობილი, ყველანაირი კომფორტით. შესაძლებელია, გამოიყენოთ საოფისედ. ფართი მდებარეობს გზის პირზე.
მისამართი:
ქუთაისი, ნინოშვილის ქ. №183ა.
ტელეფონი:
27 32 27; 599 92 92 49 (გია).
ფასი 10 000$

- **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.
მისასამართი: ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს“ თავზე). **ფასი:** 350 ლარი
ტელ.: 595 58 40 64; 492 25 25 84. **ლიანა**

სხვადასხვა

- ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.
ტელეფონი: 598 11 30 70

- იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.
ტელეფონი: 599 07 40 47

მოვამზადებ

- მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.
ტელ.: 26 30 77
მისამართი: თაბუკაშვილის 28/4

- მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
ტელ.: 555 3182 69

- **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**
CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.
ტელ.: 557 26 08 43

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

ვაკანსია

გაზეთი „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“) აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
ტელ.: 24 45 46,
599 107794

ყურადღება!
ვაკანსია ქუთაისში!

ქალაქის ცენტრში იხსნება ახალი საინტერესო კაფე. გვესაჭიროება მიმტანები (3 ვაკანსია), ბარმენი (1 ვაკანსია) ახალგაზრდა, ენერგიული, სიმპატიური, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი. (უცხო ენის ცოდნა სავალდებულოა). ასევე ცვლის მენეჯერი (1 ვაკანსია) და მზარეული. დამირეკეთ 579 90 61 15. გისურვებთ წარმატებებს.

უფასო განცხადების ტალონი

(განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში)

უფასო განცხადების ტალონი ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: რუსთაველის ქ. 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ მისამართზე: რუსთაველის ქ. №141 („პოპული“).

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ყველაფერი ძალიან კარგად იქნება, ისე კარგად, რომ ვერც კი წარმოიდგენთ. მიიღებთ მოლოცვებს.

კურო: წარმოუდგენელი აზრები გაგიჩნდებათ თავში, მაგრამ ამის გამო არ დასცინოთ საკუთარ თავს, ვინაიდან ეს აზრები მომავალში, შესაძლებელია, თქვენი ბედის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ტყუპები: დატვირთული იქნებით საქმეებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ბავშვებთან და ნათესავებთან. თქვენი პიროვნებით დაინტერესდებიან და მოსალოდნელია, საქმიანი შემოთავაზებაც მიიღოთ.

კირჩხიბი: საშუალება მოგეცემათ, თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. ამიტომ ეცადეთ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად მოექცეთ. ახალ საქმეებს ნუ წამოიწყებთ. ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა.

ლომი: ამ პოზიტიურ პერიოდში თქვენ შეძლებთ გარშემომყოფებთან ურთიერთობების გარკვევას, გადაჭრით მნიშვნელოვან სამსახურებრივ საკითხებს და, რაც მთავარია, ძალიან სწრაფად და ეფექტურად იმოქმედებთ.

ქალწული: მთელი კვირის განმავლობაში მოგიწევთ ურთიერთობების მოწესრიგება მშობლებთან ან უფროსებთან. შესაძლოა, მიიღოთ ძალიან სოლიდური შემოსავალი.

სასწორი: კარგი იქნება, თუ შევბულებას აიღებთ. თუ ბევრი საქმე დაგიგროვდათ, პრობლემებიც იმატებს. იყავით სამართლიანი და ნაკლებად კონფლიქტური.

მორიელი: სიამოვნებას მიიღებთ ფიზიკური დატვირთვისგან, ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, განსაკუთრებით ნერვულ სისტემას. ეცადეთ დრო საკუთარ თავს დაუთმოთ, არ გავნებთ იმიჯის შეცვლა.

მშვილდოსანი: თუ თქვენ ხელოვანი ხართ, მუშაობას ნუ დაიზარებთ. ეს კვირა შეიძლება თქვენი შედევრის შექმნის საფუძველი გახდეს. ნებისმიერი კამათი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

თხის რქა: თქვენთვის მთავარი პრობლემაა – სად იშოვოთ ფული. იფიქრეთ სტუმრად წასვლაზე ან საყვარელი ადამიანები შინ დაპატიჟეთ.

მერწყული: მოსალოდნელია, თქვენი საქმიანობის ან პირადული ცხოვრების მიმართ პესიმისტური განწყობა დაგეუფლოთ. ნუ აჰყვებით ამ გრძნობას, რადგან საქმის გამოსწორების შანსი უახლოეს მომავალში მოგეცემათ.

თევზები: პრობლემების გადასაჭრელად ძველ მეთოდებს ნუ გამოიყენებთ, ახალი რამ მოიფიქრეთ. ნათესავებთან კამათი არ ღირს, ვერავის ვერაფერს დაუმტკიცებთ, დროსა და ნერვებს კი დაკარგავთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. საჩხერე; 5. ფსონი; 6. ავი; 8. მაო; 9. კასპი; 11. იოკასტე.
შვეულად: 1. ოჩანი; 2. გეა; 3. სოსლანი; 4. ეგვიპტე; 7. მარსი; 10. სკა.

Forbes-მა ყველაზე წარმატებულ საქმიან ქალად ვუ იაჰუნი დაასახელა

ვუ იაჰუნი, Forbes-მა ყველაზე წარმატებულ საქმიან ქალად დაასახელა. „ყველაზე წარმატებული საქმიანი ქალები — 2013“ -ში Forbes-მა ის ქალბატონები შეიყვანა, რომლებიც მილიონებს თავად გამოიმუშავებენ.

რეიტინგის ლიდერი მსოფლიოს უმდიდრესი ქალბატონია. 49 წლის ჩინელი ვუ იაჰუნის ქონება 4,1 მლრდ აშშ დოლარად არის შეფასებული. საკუთარი კარიერა მან ჟურნალისტის ამპლუაში დაიწყო, შემდეგ ის ერთ-ერთ დეველოპერულ კომპანიაში მუშაობდა, 1993 წელს კი, საკუთარი სამშენებლო კომპანია დააფუძნა. ვუ იაჰუნისა და მისი მეუღლის ერთობლივი ქონება Forbes-ს 6,2 მლრდ აშშ დოლარად აქვს შეფასებული. მათი კომპანიის — Longfor-ის საბაზრო ღირებულებამ კი, უკვე 10 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია.

წარმატებული საქმიანი ქალების რეიტინგში მეორე ადგილზეა ასევე ჩინელი ჩჟან სინი. მისი ქონება მეუღლესთან ერთად, 3,8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. 48 წლის სინი კომპანია SOHO China-ს გენერალური დირექტორია. ეს კომპანია მან მეუღლესთან, პან სინისთან ერთად დააფუძნა. გასულ წელს სინების ქონება 1,15 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა.

რეიტინგში მესამე პოზიციაზეა ოპრა უინფრი. 59 წლის ოპრას ქონება 2,9 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

მეოთხე ადგილზეა 42 წლის სარა ბლეიკლი 1 მლრდ აშშ დოლარის ქონებით. ხუთეულს კი, დიზაინერი ტორი ბერჩი ასრულებს, რომლის ქონებაც ასევე 1 მლრდ აშშ დოლარია.

„ყველაზე წარმატებული საქმიანი ქალები — 2013“ რეიტინგში მეცხრე ადგილზეა ბიონსე, მისი შემოსავალი 2012 წელს 53 მლნ აშშ დოლარი იყო.

მეათე ადგილზეა მოდელი ჟიზელ ბუნდჰენი — 42 მილიონის წლიური შემოსავლით, 13 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო გასულ წელს მწერალმა ჯოან როულინგმა, რომელიც ამ მაჩვენებლით რეიტინგში მეთორმეტეა.

სატირა(ლი)

ქაიხოსრო იმერეტინსკი

წყალტუბოელებო, წინასწარ ჩაეწერეთ სასწრაფოს რიგში

არ გეგონოთ, დამავიწყდით, ბაბულიებო, ვერ მევიცალე ამდენხანს, ხან რა და ხან რა გამომიჩითა საკეთებელი, ახლა მოსავალს მივხედე სოფელში და, ა, ქე მევედი თქვენთან ბაასის ხასიათზე.

წყალტუბოში ჩემი კაი ბიძაშვილი მომიკვტა და პანაშვიდზე ვიყავი გუშინწინეებზე. კი იყო ასაკიანი, მარა მაინც ქე დამწყვიტა გული. ნამეტანი უყვარდა ყველას. ისე გამწარებული მოთქვამდა მისი რძალი, ქალიშვილს არ უდენია გონია, იმდენი ცრემლი. კაცები რას მეტყოდენ და, ჩემი რძალის მოთქმა-ვიშვიშით ქე გავარკვიე, რაფრა უღმერთოთ მომკვტარა ე ჩემი ბიძაშვილი.

არ იყო მთლად დაჩაჩანაკებული, გული და უჰაერობა აწუხებდა პატარა ამ სიბერეში. წამლებს და მოვლა პატრონობას არ აკლებდენ შვილები. ხოდა, ქე გამხდარა უცებ ცუდად, უჰაერობა დამართია და დაწოლილა ლოგინში. გამოუძახია სასწრაფო რძალს, მარა რათ გინდა. დისპეჩერია თუ ვინ ოხერი, ასე უთქვია, ჩაგწერთ რიგში და როცა მოვა თქვენი დრო, გამოუშობთ სასწრაფოსო, რა ვქნათ, 2 სასწრაფოს მეტი არ გვყავს წყალტუბოშიო. თუ ნამეტანი გლახათაა, იქნება თქვენ მიიყვანოთ ექიმამდეო. რაფრა მიიყვანდნენ, კაცი ფეხზე ვეღარ დგებოდა თურმე.

ხოდა, სანამ ამ ჩემი ბიძაშვილის რიგი მევიდა, ქე შეეკრა მთლად სუნთქვა და... მეზარალა ეს ბუნჩულა კაცი.

არა, რა მიკვირს, იცით, ყველაფერი გამიგია, მარა სასწრაფოს რიგში ჩაწერა რას ქვია, კაცო? სასწრაფოს რიგია, თუ სიკდილის რიგი?

გვითხრას ბარემ ჩვენმა მთავრობამ!

ასეა, ბაბუებო და წყალტუბოელებო, არ გეწყინოთ ბებერი ქაიხოსროსგან და ერთ რაცხას გაგაფთხილებთ — წინასწარ ჩეეწერეთ სასწრაფოს რიგში, ღმერთმა დაგიფაროთ, მარა, ვინ იცის, რა დროს დაგჭირდებათ...



შეადგინა ალეკო ნემსაძე

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ყველასათვის საყვარელი იუმორისტი **ნიკა არაბიძე** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო, შემდეგ დაგვიკავშირდა ნანა ფანცხავა.

რას დაარქმევდით?

ვანო მერაბიშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

მაია ფანჯიკიძე

„უძაღლო ქვეყანაში, კატას აყეფებდნენო...“

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. „სოსოიას რუსის“ სახელი; 5. აბლაბუდა ანუ? 6. მწვერვალი საბერძნეთში (2456 მ.); 8. დიდი ჩაქუჩი; 9. „შოკოლადის“ ხე; 11. კონტინენტი.

ვერტიკალურად: 1. ქმრის ძმა; 2. ... კიხოტი; 3. ქვეყანა ევროპაში; 4. შტატი აშშ-ში; 7. ფეხბურთელი ... კემპესი; 10. მეორე პირის ნაცვალსახელი.